შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და შპს „კუპერ-მონტაჟს“ შორის 2014 წლის 30 მაისს გაფორმებულ №208 ხელშეკრულებაში

ცვლილებებისა და დამატებების შეტანაზე

№ 14/208
13 06 14
1

ქ. ზუგდიდი

13 ივნისი, 2014 წელი.

ერთის მხრივ, ***ზუგდიდის მუნიციპალიტეტი*** (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან კონჯარიას სახით და მეორეს მხრივ, ***შპს „კუპერ-მონტაჟი“*** (შემდგომში „მიმწოდებელი”), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის ნოდარ ძიგუას მინდობილი პირის იაშა აკობიას *(13.05.2013 წლის №130462986 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში)* სახით, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. მიმწოდებლის 2014 წლის 13 ივნისის №9 წერილის საფუძველზე სოფელ ახალაბასთუმანში ცენტრალურ გზის გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოს შესრულების შეუძლებლობასთან დაკავშირებით 2014 წლის 30 მაისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №208 ხელშეკრულებაში (შემდგომში „ხელშეკრულება“) შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები:

   - ხელშეკრულების დანართიდან ამოღებულ იქნას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო – „სოფელ ახალაბასთუმანში ცენტრალურ გზის გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაო“ და ჩამოყალიბდეს თანდართული დანართის შესაბამისად.

   - სახელშეკრულებო ობიექტზე განსახორციელებელი სამუშაოს ამოღებასთან და შესაბამისად სახელშეკრულებო ღირებულების შეცვლასთან დაკავშირებით შევიდეს ცვლილება ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად.

   - *პუნქტი 2.1* – შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება შეადგენს: ***14014 (თოთხმეტი ათას თოთხმეტი)*** ლარს.

2. ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები და დებულებები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც ხელშეკრულების მიმართ.

3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 5 (ხუთი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად 4 (ოთხი) ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან,“ ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს.”

4. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

„შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი“	„მ ი მ წ ო დ ე ბ ე ლ ი“
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:	*შპს „კუპერ-მონტაჟი“-ს დირექტორის მინდობილი პირი:*
..... /*ლ. კონჯარია*/	..... /*ი. აკობია*/

დ ა ნ ა რ თ ი

სამუშაოს დასახელება და ღირებულება

შესასრულებელი სამუშაოს (პროექტის) დასახელება		თანხა (ლარი)
1	2	3
1	აბასთუმნის თემში გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაო	6803
2	ორულუს თემში გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაო	7211
		სულ ჯამი: **14014** ლარი

„შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი“

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

..... /ლ. კონჯარია/

„მ ი მ წ ო დ ებ ე ლ ი“

შპს „კუპერ-მონტაჟი“-ს დირექტორის
მინდობილი პირი:

..... /ბ. აკობია/